Answering the question who is the target audience of Kremlin information and psychological influence operations in Georgia? The simplest answer is: everyone possible, who is susceptible to pro-Russian and Russian sentiments. In addition, the list can be extended by Georgian diaspora in Russia, who are exposed to the Russian media, as well as Georgian Orthodox communities as well as farmers, whose main source of income was trade with Russia, and ethnic minorities.

As frequently reported by various civil society organizations in Georgia, ethnic minorities residing in densely populated areas in Georgia (Samtskhe-Javakheti, Kvemo Kartli and Kakheti regions) are mostly susceptible to Kremlin disinformation and propaganda. Known reasons to support this statement basically pertain to a gap between the minorities and the Georgian media space, coupled with their language barrier (mostly Russian). Additionally, it seems that Georgian national broadcasters have limited incentive to launch programs and provide content specific to ethnic minorities, considering language and interests. In these circumstances, Russian TV channels have been more attractive for the minorities.<sup>30</sup>

---

<sup>30</sup> IDFI Georgia, “Kremlin’s Information War: Why Georgia Should Develop State Policy on Countering Propaganda,” August 22, 2016, <https://idfi.ge/public/upload/Meri/Giorgi%20Lomtadze/Policy%20Paper.PDF>.

# General Suggested Approaches to Address Disinformation

Below we propose several general and specific ways to respond to disinformation and fake news at citizen and civil society levels.

**Communicate:** If your institution or organization becomes a target of disinformation, unable to cope with it autonomously, you have your own tools at your disposal, including physical and virtual ones. In this smartphone era, every citizen can have equal means and access to information, thus being able to provide the public and her/his community with credible and accurate information. In case one faces lack of understanding of a certain issue, it is always recommended to consult a specialist before going public about that matter.

**Fact-check and cross-check:** If a certain piece of news carries personally, socially or politically sensitive character, one way to act before believing it is checking official sources, credible media or referring to fact-checking mechanisms. For instance, EU vs Disinfo (wider European level), or Factcheck.ge and Myth Detector (local Georgian) are respectable sources for fact-checking. In addition, one more way to act is to check an author of a certain news piece, to clarify a title, affiliation or other visible traits, which may help you identify true nature and purpose of such information.

**Debunk:** Debunking can serve as a long-term tool to counter disinformation. Since fake news tend to reemerge overtime, it is efficient and sustainable to identify, expose and explain it from the beginning. By so doing, we can reduce chances of hostile actors to potentially reuse same conspiracy or fake narratives.

**Educate:** Quality general education (e.g. in history, chemistry, or physics) as well as encouraging logical and critical thinking among the wider public can be the most powerful preventive measure against propaganda and disinformation. In addition, media

literacy coupled with government and civil society's continued efforts to adapt with the rapidly changing world, may be one of the strategic and robust ways to build a resilient and forward-looking society.

**Research:** The more we know about disinformation sources and methods, the more we can counter them. In this digital era, science and fact-based analytical research has been instrumental to making informed decisions and rational choices.

**Ridicule:** While dealing with conspiracy theories (CT) and disinformation, ridiculing can be one of the better methods to employ.<sup>31</sup> Dr. Marcin Napiórkowski asserts that ridiculing of CT should be directed toward the theory, not individuals voicing it.<sup>32</sup> For instance, if a certain source or group of people promote a notion that Poland was an ancient empire, ridiculing such a pseudoscientific notion has shown more efficient than trying to counter it with a serious debate.

---

<sup>31</sup> Gábor Orosz et al., "Changing Conspiracy Beliefs through Rationality and Ridiculing," *Frontiers in Psychology* 7 (October 13, 2016), <https://doi.org/10.3389/fpsyg.2016.01525>.

<sup>32</sup> Marcin Napiórkowski, "Jak rozmawiać z ludźmi, którzy wierzą w teorie spiskowe, czyli mieszkanie-strategiczne," *Mitologia Współczesna* (blog), March 4, 2017, <http://mitologiawspolczesna.pl/smieszkowanie-strategiczne-czyli-rozmawiac-ludźmi-ktorzy-wierza-w-teorie-spiskowe/#sdfootnote2anc>.

# Recommendations

*For information recipients:*

- Be wary of the activates and content provided by Russia state or pro-Kremlin media and NGOs. They usually have their own agenda, which may be targeting you. If you encounter a message of a strong emotional character, before sharing it or commenting, ask yourself questions: is it presenting facts, or interpretation? Is the language appropriate and adequate? Was it a clickbait? What purpose may be hidden behind this specific narrative?
- Be skeptical about reposting, retweeting or sharing general stories and social media posts. After reading one media source pertaining to a significant issue, make sure you double check it on other platforms and official sources. Try to find out accuracy of the story, identity and authenticity of the author as well as the media outlet.
- When encountered by an alleged troll on social media, or other platforms, try to act with satire and humor, or do not engage with them. It is in their interest to get you involved and dismay or frustrate. Do not help them do it.
- Freedom of speech is one of the cornerstones of democracy; however, it does not enable or serve as an excuse for spreading lies, defamation and fake news. Have this in mind, while being a responsible and active citizen.

- Avoid sources known for spreading disinformation or propaganda. Studies show that after time passes, people remember the news from the place they first encountered it, but not the source itself. It applies also even if one knows that the source is fake.
- Remember about the existing tools, such as fact-checking websites or report button in the social media. Although usually there is no way to block somebody's activities just because of spreading lies, both ordinary and hybrid trolls often use hate speech and other illegal acts. Do not hesitate to report them.
- Before trusting, joining or attending events of Russia-affiliated organizations, ask for their financial sources, connections and intentions to make value-based informed decisions.
- You can make a difference by organizing a swarm – a decentralized group without a leader, which may, like Lithuanian elves, report commentaries and materials posted by trolls, or lobby through the mass effect to, i.e, convince Internet retailers to cease selling clothes with Soviet symbols.<sup>33</sup> Note that elves would never ask you to hurt or persecute anyone.

*For communicators (authorities, community leaders, journalists, and clergy):*

- If you encounter disinformation or a suspicious news piece, react quickly with adequate channels, online and conventional. Use technology actively to defend yourself and reach out to wider public.
- It is important in your corporate environments to have close coordination of communications, including reporting mechanisms so that you do not become easy targets for disinformation, as well as protect your own organizations from such occasions.

---

<sup>33</sup> “The Lithuanian elves movement as a patriotic block chain,” Propastop, October 19, 2018, <https://www.propastop.org/eng/2018/10/19/the-lithuanian-elves-movement-as-a-patriotic-block-chain/>

- Plan your communication channels. Use images, be aware of your weak points and consult. Maintain contacts with other communicators in the local communities, so that you can reach out to people, personally and through various means as necessary. Make the communication a mix of entertainment and education – edutainment.
- If need be, consult experts, NGOs and government agencies for information, advice and further action. Most of them are accountable to you.
- Shocking news, being effective clickbait, may act a source of good revenue for the media. However, before sharing it further or using it in public discourse, verify their authenticity and credibility. Be responsible and do not spread messages of origin and purpose you are not sure about.
- When you come across a suspicious photo on the internet, one way to confirm its authenticity is to employ reverse search engine. E.g. through using this tool: <https://reverse.photos>. If a certain image frames a new piece in a suspicious context, check whether it really illustrates that particular event.
- [www.newsguardtech.com](http://www.newsguardtech.com) offers a free browser extension, which will help you better recognize suspicious news sources on a daily bases. Do not hesitate to download it

## Conclusion

Moscow employs a wider range of measures to promote and justify its policies and strategies internationally by distorted, fabricated or manipulated information and half-truths. Russia's disinformation efforts, including methods, objectives and agents in Georgia as well as in broader Europe and North America are well-resourced. Since it is in Russia's interests to undermine our democracies, well-being and freedoms, we, citizens of Georgia and the West need to develop individual and collective resilience through open and fact-based discussion, active participation and proper use of modern technology.

We hire government officials to provide us with security, but it does not entirely free us from our own responsibility and inherent right to self-defense. Acting alone, governments may fail to cope with Russia's hybrid warfare and disinformation; thus, we need to get involved and employ the strongest tool at our disposal – objective truth. By so doing, we will ensure better security and prosperity of ourselves and our country through collaboration, debate and individual leadership.





Source: Zurab Kurtsikidze PAP/EPA



საქართველოში  
რუსეთის  
დეზინფორმაციასთან  
და პროპაგანდასთან  
გამკლავება



## შესავალი

დეზინფორმაციას, სხვა ე.წ. აქტიურ ზომებს შორის, დიდი ტრადიცია გააჩნია, როგორც კრემლის სხვა ქვეყნებზე გავლენის მოხდენის მექანიზმს. მიზანმიმართულად გავრცელებული მცდარი ან მანიპულირებული მესიჯები შესაძლოა არ ატარებდნენ მყისიერად დამანგრეველ ხასიათს, თუმცა, მსგავსმა ძალისხმევამ შესაძლოა მაინც მიაყენოს მნიშვნელოვანი და თანმიმდევრული ზიანი მის მიმღებ აუდიტორიას. ყალბ ახალ ამბებს (fake news) და რადიკალურ მესიჯებს დაკავებული აქვთ მედია პლატფორმების დიდი ნაწილი, რომელთა ფართო მიზანიც დემოკრატიებისთვის ძირის გამოთხრა, მათ შორის მაგრამ არა მხოლოდ, არჩევნებზე ზემოქმედება, ნიჰილიზმის და ზიზღის გაღვივება, პოლიტიკური დისკურსის პოლარიზება და სახელმწიფოების გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენაა.

ბოლო წლებში, რუსეთის მიერ დასავლური დემოკრატიების და პარტიორი სახელმწიფოების ადგილობრივ საქმეებში ინტერვენცია ფართოდ იქნა აღიარებული, როგორც საფრთხე უმეტესი ევროპული და ჩრდილო-ამერიკული სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოებისადმი. მოსკოვის ბერკეტები შეიცავს ფარულ და ღია ოპერაციებს, მათ შორის კოორდინირებული დეზინფორმაციის კამპანიის წარმოებას, რაც შენიღბულია პრორუსული ე.წ. რბილი ძალის ელემენტებით და სატელიტი ორგანიზაციების გამოყენებით. რუსეთის მტრული ნარატივი ზოგადად მიმართულია ნატო-ს მოკავშირეების და პარტნიორების მიმართ, რაც მიზნად ისახავს დემოკრატიის და დემოკრატიული პროცესის ეროვნულ და ძალისხმევით, რუსეთი ასევე ცდილობს დაასუსტოს დასავლეთის მიმართ დადებითად განწყობილი ქვეყნები რუსეთის უშუალო სამეზობლოში და მთელს ევროპაში.

საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი აღნიშნავს ქვეყნის მზადყოფნის საჭიროებას საფრთხეების მთლიან სპექტრთან გასამკლავებლად, მათ შორის არის რუსეთიდან მომავალი კონფლიქტის ჰიბრიდული სცენარები.<sup>1</sup> მოსკოვის მიერ კარგად დაფინანსებული და ორგანიზებული მტრული გავლენის საერთაშორისო კამპანიებისადმი დაპირისპირება ძნელად შესაძლებელია მხოლოდ სამთავრობო რესურსებით. ნაცვლად ამისა, ერთ-ერთი მთავარი კონტრ-ზომა, რაც შეიძლება მანიპულირებულ ინფორმაციას დავუპირისპიროთ, არის საზოგადოებრივი მედეგობის განვითარება, მათ შორის ინფორმირებულობის გაზრდა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ამასთან, მთავრობების მხრიდან სტრატეგიული კომუნიკაციის უზრუნველყოფას და განგრძობით საგანმანათლებლო ძალისხმევას შეუძლია გააძლიეროს გრძელვადიანი შეკავების და მედეგობის მექანიზმები დეზინფორმაციისა და ყალბი ახალი ამბების მიმართ. იგივე ეხება საქართველოს, რომელიც წარმოადგენს რუსეთის ანტი-დასავლური საინფორმაციო ოპერაციების ფრონტის ხაზს.

„ვარშავის ინსტიტუტი“ და „საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი“, „სოლიდარობის ფონდის“ მხარდაჭერით, მოხარული არიან შეიტანონ საკუთარი წვლილი ზემოთხსენებული კონტრ-ზომების გაძლიერებაში. ეს პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს დაეხმაროს ადგილობრივ ლიდერებს, სამოქალაქო აქტივისტებს, ჟურნალისტებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს და კერძო მოქალაქეებს საქართველოში, ზოგადი და კონკრეტული რეკომენდაციებით და ე.წ. რბილი ბერკეტებით, რათა განვიითარონ ავტონომიური მეთოდები და გზები საქართველოში კრემლის დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან გასამკლავებლად.

ეს ნაშრომი ცდილობს ახსნას საქართველოში კრემლის დეზინფორმაციის ფენომენი, მათ შორის საბაზისო მახასიათებლები, წყაროები და აგენტები. ანალიზი დაეყრდნო პოლონეთის გამოცდილებებს და დასავლურ საუკეთესო პრაქტიკებს, დეზინფორმაციასთან ბრძოლის თვალსაზრისით. ჩვენ გვჯერა, რომ მსგავსი მიდგომა დაეხმარება ამ ნაშრომს გაიაზროს საქართველო, რუსეთის ჰიბრიდულ ომთან გამკლავების საერთაშორისო კონტექსტში.

<sup>1</sup> “Strategic Defence Review 2017-2020” (Ministry of Defence, 2017), <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/SDR-ENG.pdf>.

# ტერმინოლოგია და დეფინიციები

**რბილი ძალა:** არის ქვეყნის უნარი დაარწმუნოს სხვები გააკეთონ ის, რაც მას სურს, ძალის ან იძულების გამოყენების გარეშე.<sup>2</sup> რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინები განიხილავენ რბილ ძალას, არა როგორც პირდაპირ სამხედრო ცნებას, არამედ როგორც სამხედრო ძალის შემავსებელს.

**ხისტი და ჭკვიანი (სმარტ) ძალა:** ხისტი ძალა უკავშირდება იძულებას და ფასის გადახდას, ხოლო რბილი ძალა სასურველი შედეგის მიღწევას - მიმზიდველობით, ჭკვიანი (სმარტ) ძალა წარმოადგენს ორივეს კომბინაციას.<sup>3</sup>

**სახალხო დიპლომატია:** ედმუნდ გულიონის მიხედვით, სახალხო დიპლომატია „კავშირშია საზოგადოებრივ განწყობებთან, საგარეო პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების პროცესში... მოიცავს მთავრობების მხრიდან სხვა ქვეყნებში ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრის კულტივირებას... წარმოადგენს კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესს.“<sup>4</sup>

**პროპაგანდა:** ინფორმაცია, ფოტო გამოსახულებები, აზრები ან იდეები, რომლებიც, სამაუწყებლო, ბეჭდვითი, თუ სხვა საშუალებებით

---

<sup>2</sup> “Soft Power: The Means to Success in World Politics,” *Foreign Affairs*, January 28, 2009, <https://www.foreignaffairs.com/reviews/capsule-review/2004-05-01/soft-power-means-success-world-politics>.

<sup>3</sup> Joseph S. Nye Jr, “Get Smart,” *Foreign Affairs*, July 1, 2009, <https://www.foreignaffairs.com/articles/2009-07-01/get-smart>.

<sup>4</sup> “The Edward R. Murrow Center of Public Diplomacy,” Public Diplomacy, accessed August 14, 2018, [http://publicdiplomacy.wikia.com/wiki/The\\_Edward\\_R.\\_Murrow\\_Center\\_of\\_Public\\_Diplomacy](http://publicdiplomacy.wikia.com/wiki/The_Edward_R._Murrow_Center_of_Public_Diplomacy).

ვრცელდება, მსჯელობის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენენ. პროპაგანდის მიზანია ადამიანების აზრებზე გავლენის მოხდენა.<sup>5</sup>

**შავი პროპაგანდა:** მიზანმიმართულად მცდარი ცალკეული ინფორმაცია, ან ინფორმაციის სერია, სადაც მესიჯის ავტორს მტრული მოტივები ამოძრავებს. შავი პროპაგანდის წყარო, როგორც წესი, დაფარულია.

**დეზინფორმაცია:** მცდარი ინფორმაცია, რომელიც მიზანმიმართულად და ხშირად, ფარულად, არის გავრცელებული სახალხო განწყობებზე გავლენის მოხდენის, ან სიმართლის დამახინჯების მიზნით.<sup>6</sup>

**საინფორმაციო ომი:** ომის ნაირსახეობა, რომლის მიზანიც არის მხარდაჭერის მოპოვება, ბრძოლის არეალში ადგილობრივი მოსახლეობის, და ინტერვენციის მხარის მოსახლეობის, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.<sup>7</sup>

**ფსიქოლოგიური ომი:** გულისხმობს „ზემოქმედებას, სამიზნე აუდიტორიის ღირებულებათა სისტემაზე, მათ წარმოდგენებზე, ემოციებზე, მოტივებზე, მსჯელობასა და იდეალურ შემთხვევაში, მათ ქცევაზე... მისი მიზანია ლოიალურად განწყობილთა მხარდაჭერის შენარჩუნება; მერყევი ადამიანების დარწმუნება და ოპოზიციური ძალებისთვის ძირის გამოთხრა.“<sup>8</sup>

**გავლენის აგენტი:** არის გარკვეული სტატუსის მატარებელი აგენტი, რომლის დავალებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება საჯარო აზრზე ან გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოხდენით, რომელიც სასურველი იქნება იმ ქვეყნისთვის, რომლის უსაფრთხოების სააგენტოებიც მართავენ აგენტს. გავლენის აგენტის მიერ გამოყენებული საშუალებები შესაძლოა მოიცავდეს დეზინფორმაციას, თაღლითობას, დესტაბილიზაციას, საბოტაჟს და შპიონაჟს.<sup>9</sup>

<sup>5</sup> “PROPAGANDA | Meaning in the Cambridge English Dictionary,” accessed December 2, 2018, <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/propaganda>.

<sup>6</sup> “Definition of DISINFORMATION,” accessed August 3, 2018, <https://www.merriam-webster.com/dictionary/disinformation>.

<sup>7</sup> Alexander Fokin and others, “Internet Trolling as a Tool of Hybrid Warfare: The Case of Latvia,” 2016.

<sup>8</sup> Fokin and others.

<sup>9</sup> Jolanta Darczewska and Piotr Żochowski, *Active Measures. Russia's Key Export*, PunktWidzenia, nr 64 (Warszawa: Ośrodek Studiów Wschodnich im. Marka Karpia, 2017), [https://www.osw.waw.pl/sites/default/files/pw\\_64\\_ang\\_active-measures\\_net\\_0.pdf](https://www.osw.waw.pl/sites/default/files/pw_64_ang_active-measures_net_0.pdf).

**ტროლი:** ინტერნეტ აქტივისტი, რომელიც შეგნებულად ავრცელებს პროვოკაციულ და რადიკალური შინაარსის მესიჯებს სოციალურ მედიაში ან/და სხვადასხვა ინტერნეტ ფორუმზე. მსგავსი აქტივობის განზრახვა ონლაინ მომხმარებლებში უთანხმოების გაჩენა და ობიექტური სიმართლის დამახინჯებაა. ჰიბრიდული ტროლები, როგორც ნატო-ს „Stratcom CoE-ს“ კვლევა აჩვენებს, “ცალკეული იდეოლოგიის კომუნიკაციას ახორციელებენ და ნიშანდობლივად, ოპერირებენ გარკვეული სახელმწიფოს, ან სახელმწიფო სტრუქტურების დირექტივის ქვეშ.”<sup>10</sup>

**ბოტი:** კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ასრულებს ავტომატურად გამეორებად დავალებებს<sup>11</sup>, სადაც ზოგიერთი მათგანი შექმნილია საზიანო მოქმედებების შესასრულებად. სოციალურ მედიაში, ბოტები შეიძლება გავიგოთ, როგორც ავტომატიზირებული ყალბი პროფილები, რომლებიც ზოგჯერ ქმნიან ქსელებს (‘ბოტნეტებს’), მათ მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით.

---

<sup>10</sup> Alexander Fokin and others.

<sup>11</sup> “Definition of BOT,” n.d.





Source: Fotolia.com

# რატომ ავრცელებს რუსეთი ყალბ ახალ ამბებს?

თითქმის ყველა ქვეყანა მიმართავს სახალხო დიპლომატიას და ცდილობს ამით გავლენა მოახდინოს სხვა აქტორების მხრიდან მის აღქმაზე. როგორც წესი, ეს მიიღწევა რბილი და სმარტ ზომების მეშვეობით, რომლებშიც შედის კულტურული მიმზიდველობა, სასურველი იუდიური ულიანპოლიტიკური სისტემა თუ ზოგადი კეთილდღეობა. თუმცა, რუსეთის მსგავსი ქვეყნები, რომლებიც უმეტესწილად სპეც-სამსახურების წარმომადგენლების მხრიდან იმართებიან, არასამთავრობო ორგანიზაციებს და თავისუფალ მედიას ეჭვის თვალით უყურებენ. მოკლედ, დასავლური რბილი ძალა მოსკოვის მიერ აღქმულია, როგორც დასავლეთის საგარეო პოლიტიკის არასამხედრო ბერკეტი, რაც წინ უსწრებს სამხედრო ძალის გამოყენებას. შესაბამისად, ამ ყველაფერს რუსეთი აფასებს, როგორც საფრთხეს მისი ეროვნული უსაფრთხოებისადმი. სადაც სახალხო დიპლომატიის ამოსავალი წერტილი სხვების გულის მოგებაა, რუსეთის რეჟიმი მსგავს აქტივობას ღებულობს, როგორც „გულის და გონების მოწამვლას.“<sup>12</sup>

ფართო გაგებით, რუსეთი ცდილობს რომ მიაღწიოს საკუთარი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს, რაც მის არსშივე გულისხმობს მოსკოვის ყოფილი გავლენის სფეროების კონტროლქვეშ დაბრუნებას, განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა სივრცეში. ამასთან, მოსკოვი შეუთავსებლად მიიჩნევს საკუთარ ინტერესებს ამერიკის შეერთებული შტატების და ევროკავშირის ჩართულობასთან იგივე არეალში. უფრო კონკრეტულად, კრემლის მისწრაფებები მოიცავს მაგრამ არ

<sup>12</sup> Валерий Герасимов, “Ценность Науки в Предвидении,” *Военно Промышленный Курьер*, no. 8 (476) (February 27, 2013), <http://vpknews.ru/print/articles/14632>. See also Концепции внешней Ополитики Российской Федерации (утверждена Президентом Российской Федерации В.В. Путиным 30 ноября 2016г.), [http://www.mid.ru/foreign\\_policy/news//asset\\_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/2542248](http://www.mid.ru/foreign_policy/news//asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/2542248)



შემოიფარგლება ენერგო მარშრუტების კონტროლით სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონებში. ეს გაზრდიდა რუსეთის მიერ ევრაზიაში ძალაუფლების პროექციის საშუალებას და ასევე, გავლენას ადგილობრივ და საგარეო პოლიტიკაზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა პოლონეთი და უკრაინა. რადგანაც რუსეთის რეჟიმი ჩაფლულია კორუფციაში და თავის მოქალაქეებს ვერ სთავაზობს მმართველობის ეფექტიან ფორმას, მოსკოვისთვის, შედარებით წარმატებად, რეგიონალურ და საერთაშორისო ასპარეზზე, მიჩნეული იქნებოდა ე.წ. დიდი ძალის, ან დასავლეთთან თანაბარი მოთამაშის სტატუსის დამკვიდრება. ამას კი, კრემლი გამოიყენებდა მოჩვენებითი სურათის შესაქმნელად, ადგილობრივი სიდუხჭირეებიდან ყურადღების გადასატანის მიზნით.

მისი ადგილობრივი და საგარეო პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილების გზაზე, მოსკოვს ადაპტირებული აქვს საკუთარი სტრატეგია და ტაქტიკები ჰიბრიდული გზით. მსგავსი ადაპტაცია ნიშნავს კრემლისთვის სასურველი ატმოსფეროს შექმნას ლოკალურ დონეზე, რაც მას მისცემს მოქმედების თავისუფლებას მისი ინტერესების სფეროში მყოფ ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში. რადგანაც რუსეთს ძნელად თუ შეუძლია აშშ-სთან ან ევროკავშირთან მიმართებაში კონკურენტული უპირატესობით სარგებლობა აღმოსავლეთ ევროპასა და შავი ზღვის რეგიონში, მოსკოვის ძირითადი ძალისხმევა დასავლეთის იმიჯის ნეგატიურად წარმოჩენაზეა მიმართული. რადგანაც მსგავსი ტაქტიკის ბაზისი ვერ იქნება ფაქტებზე დაფუძნებული, ჭეშმარიტი დისკუსია, მოსკოვი დგას აუცილებლობის წინაშე შექმნას ყალბი ახალი ამბები, დეზინფორმაცია და პროპაგანდა, რათა გამოიწვიოს და ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ პოლარიზაციას და რადიკალიზაციას; იმავდროულად, ძირი გამოუთხაროს დასავლურ, დემოკრატიულ მთავრობებს და თვით მთლიან დემოკრატიულ სისტემას.

იგივე ლოგიკით, რუსეთის ინტერესებში შედის უნდობლობის დათესვა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ლიდერებს შორის ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, რაც, როგორც წესი, მასობრივი იმედგაცრუების და დასუსტებული სამოქალაქო აქტივობის მიზეზი ხდება, განსაკუთრებით არჩევნებში ან სხვა დროს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამომრჩევლის უკმაყოფილება არ შეიძლება თავისთავად რუსეთს დაბრალდეს, რადგანაც უმეტესწილად, მსგავსი განწყობები მთავრობების ცუდი მუშაობის შედეგია; თუმცა, რუსული პროპაგანდის ჰიბრიდული ხასიათი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის სწავლობს და ბოროტად იყენებს არსებულ საზოგადოებრივ წუხილებს და აძლიერებს მათ ფარული და ღია, მათ შორის კიბერ მეთოდებით. როცა მსგავსი

ქმედებებით, როგორც წესი, საქართველოსთან მეგობრულად განწყობილი ერები არ არიან დაკავებული, რუსეთის ქმედებები კი, პირიქით, არ არის შეზღუდული რომელიმე ჩარჩოთი. საბოლოო ჯამში კი, რადიკალიზაციას და პოლარიზაციას, უკვე არსებული სოციალური გახლეჩის ბოროტად გამოყენებით და ქვეყნისთვის სტრატეგიულ საკითხებზე (როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა და დასავლური ინტეგრაცია) მოქალაქეების ფრუსტრაციით, შესაძლოა ჰქონდეს დიდად დამაზიანებელი საშუალო და გრძელვადიანი ეფექტი საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის.

რუსეთს გაცხადებული აქვს მისი ინტერესები საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის წინააღმდეგ. ამასთან, ნატო-ს ოფიციალური პოზიცია და საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის აზრი თანხვედრაში მოდიან იმ იდეასთან, რომ ქვეყანა ალიანსში გაწევრიანდება.<sup>13</sup> ამ კონტექსტში, საქართველოს ნატოში გაწევრიანების იდეის წინააღმდეგ ჯიუტად გალაშქრება (ძირითადად მოსკოვის ან საქართველოში პრო-კრემლისტური ძალების მიერ) ვერ მოუტანს რუსეთს პირდაპირ სარგებელს. შესაბამისად, რუსეთის ინტერესებში შედის ყალბი ახალი ამბების შექმნა და პროპაგანდის, ასევე ადგილობრივი სატელიტი ორგანიზაციების გამოყენება ნატოსა და ევროკავშირის მიმართ საქართველოში პოპულარული მხარდაჭერის შესამცირებლად. მაგალითისთვის, მანიპულირებული მესიჯი, ე.წ. ნახევარ-სიმართლე გავრცელდა პრო-კრემლისტური მედიის მიერ საქართველოში, როდესაც თბილისიდან ნატოს 2017 წლის სამიტზე ოფიციალური პირები არ იყვნენ მიწვეული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია ტექნიკურად სწორი იყო, გავრცელებულმა მესიჯებმა უგულვებელჰყვეს ფაქტი, რომ 2017 წლის სამიტი წამოადგენდა ნატოს წევრების ფორმალურ შეხვედრას, სადაც ალიანსის პარტნიორები არ იყვნენ მიწვეული. ასევე, მორიგი ყალბი ახალი ამბავი გავრცელდა, როდესაც 2017 წლის ნოემბერში, მედია გამოცემამ „თბილისი 24“ აღნიშნა, თითქოსდა პოლონეთის პრეზიდენტი ანდჟეი დუდა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ევროკავშირში წევრობას. რეალურად კი, პრეზიდენტმა დუდამ, მის ერთ-ერთ განცხადებაში ხაზი გაუსვა ევროკავშირის კარების ღიად დატოვების მნიშვნელობას ახალი წევრებისთვის.<sup>14</sup>

<sup>13</sup> NATO, “Secretary General: NATO Is United in Support for Georgia’s Security,” NATO, accessed August 14, 2018, [http://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_157482.htm](http://www.nato.int/cps/en/natohq/news_157482.htm).

<sup>14</sup> “EU Should Keep Its Door Open to New Members,” November 2017, President.pl, <http://www.president.pl/en/news/art,606,georgian-president-starts-visit-to-poland.html>.



ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის და საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ერთობლივი ბრიფინგი.

წყარო: [www.nato.int](http://www.nato.int)

# მტრული საინფორმაციო კამპანიები საქართველოს და დასავლეთის წინააღმდეგ

## პროპაგანდა 4D-ში

ატლანტიკური საბჭოს ციფრული ექსპერტიზის კვლევის ლაბორატორია (Digital Forensic Research Lab), რომელიც დაკავებულია დეზინფორმაციის იდენტიფიცირებით, გამოაშკარავებით და ახსნით, გამოაშკარავა რუსეთის პროპაგანდის ძირითადი 4D მახასიათებლები: უარყოფა, დამახინჯება, ყურადღების გადატანა და დაშინება (Dismiss, Distort, Distract and Dismay). თითოეული მათგანს საერთო აქვს რუსეთის აპრობირებულ მეთოდებთან, რომლებიც პროცესში ერთვებიან მაშინ, როდესაც ხდება მოსკოვისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა.

- უარყოფა - ბრალდებების აცილება დასავლეთის ე.წ. რუსოფობიის თუ ანტაგონიზმის საბაზით
- დამახინჯება - მტკიცებულების გაყალბება და წარმოჩენა, როგორც „ალტერნატიული ფაქტი“
- ყურადღების გადატანა - სხვისი დადანაშაულება, როცა შენ ხარ ბრალდებული. რეალობის დამახინჯება
- დაშინება - სამხედრო მოქმედების, ან ბირთვული ესკალაციის მუქარა, მაგალითად მაშინ, თუ ნატო გაფართოვდება

ასპენის ინსტიტუტში ენდრიუ ვილსონი გამოყოფს მოსკოვის საზღვარგარეთ მიმართული პროპაგანდის სამ კატეგორიას. პირველის ამოცანაა პროპაგანდის მეშვეობით პარალიზების და დაბნეულობის სტიმულირება; მეორეს სამიზნეა იმ კერძო პირებისა და ორგანიზაციების



ბოროტად გამოყენება, რომლებიც ჩამოყალიბებული სისტემის მიმართ განსაკუთრებული სკეპტიკურობით გამოირჩევიან; მესამე კი, ცდილობს შექმნას ალტერნატიული რეალობები, რომელიც თავის არსში გულისხმობს, რომ გარკვეული მედია მონათხრობი იქნას გამყარებული პრო-რუსული პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ეკლესიის თუ სხვა ერთეულების მიერ<sup>15</sup>

პომერანცევის და ვეისის მიხედვით:

კრემლის გავლენაზე შეიძლება ვიფიქროთ ასეთი მიდგომით: უკრაინაში მას შეუძლია წაახალისოს სრული ქაოსი; ბალტიის ქვეყნებში - დესტაბილიზაცია; აღმოსავლეთ ევროპაში - მიუღებლის მიმდებლობა; დასავლეთ ევროპაში - დაყოფა და ბატონობა; ამერიკაში - ყურადღების გადატანა; ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამერიკაში - ცეცხლისთვის ნავთის დასხმა.<sup>16</sup>

## შეკერილი პროპაგანდა

4D პროპაგანდა, როგორც წესი, ვრცელდება რუსული ან პრო-რუსული მედიის, საზღვარგარეთ კრემლის მხარდამჭერების, აფილირებული ორგანიზაციების და ასოციაციების მეშვეობით. როცა 4D პროპაგანდა ერთვება საქმეში, მაღალი დონის კოორდინაციის დანახვა რუსეთის ამ - ულტრამემარჯვენედან ულტრამემარცხენე და კონსერვატიულიდან ლიბერალურ - სატელიტ აგენტებს შორის, ღია წყაროებითაც არის შესაძლებელი.

მსგავს ტაქტიკებზე და სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, რუსეთი უკვე ჩართულია გარკვეული უნივერსალური მონათხრობების შეთხზვასა და გავრცელებაში. ეს ძირითადად ეხება აშშ-ს და დასავლეთის, მათ შორის ნატოსა და ევროკავშირის იმიჯს. მსგავს მესიჯებს, როგორც წესი, აკლიათ დამაჯერებლობა და სიმყარე, ასევე, ძირითადად ეყრდნობიან

<sup>15</sup> “Andrew Wilson: Four Types of Russian Propaganda,” *StopFake.Org* (blog), December 13, 2015, <https://www.stopfake.org/en/andrew-wilson-four-types-of-russian-propaganda/>.

<sup>16</sup> Peter Pomerantsev and Michael Weiss, “The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes Information, Culture and Money,” 2014.



სპეკულაციებს და ვარაუდებს, ვიდრე ობიექტურ სიმართლეს და ფაქტებზე დაფუძნებულ მსჯელობას. ისინი მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლებიან შემდეგი თეზებით:

- ნატო/აშშ მტრულად და აგრესიულად არიან განწყობილი რუსეთის მიმართ; ამიტომ, მოსკოვმა თავი უნდა დაიცვას;
- საბჭოთა კავშირის შემდეგ, დასავლური მოდელი რუსეთის დანგრევას ისახავდა მიზნად;
- დასავლეთი დემორალიზებულია, მაშინ, როცა რუსეთი იცავს ქრისტიანულ/მართლმადიდებლურ/კონსერვატიულ ღირებულებებს;
- უკრაინა და ბალტიის ქვეყნები ფაშისტები არიან, საწყისშივე ანტი-რუსული და ანტი-საბჭოთა;
- დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას. რუსეთი ეწინააღმდეგება ე.წ. „გეიროპას“;
- ევროკავშირი დანგრევის პირას დგას;
- „ევრომაიდნის“ რევოლუცია იყო აშშ-ევროკავშირის შეთქმულება უკრაინაში რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ;
- რუსეთი ძლევამოსილი სახელმწიფოა და შესაბამისად, აქვს უფლება ჩაერიოს ადგილობრივ საქმეებში მის ახლანდელ და ყოფილ გავლენის სფეროებში (მაგ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), ყოფილი საბჭოთა კავშირი);
- რუსეთს II მსოფლიო ომის დაწყებაში არ მიუძღვის რამე წვლილი;
- თუ შეერთებულ შტატებს და ნატო-ს შეეძლოთ ინტერვენცია ბალკანურ ომებში, კოსოვოში, ასევე ავღანეთსა და ლიბიაში, რუსეთსაც აქვს უფლება შეიჭრას საქართველოსა და უკრაინაში.

ინფორმირებული მოქალაქეებისთვის, მსგავსი სახის პროპაგანდა შესაძლოა სასაცილოდ ჟღერდეს; თუმცა, მოსკოვი ხარჯავს არსებით ფინანსურ და პოლიტიკურ კაპიტალს საერთაშორისო აუდიტორიის შესაქმნელად, ვინც მსგავს შეხედულებებს საკუთარ მსოფლმხედველობად აქცევს. ეს კი, დიდწილად, რუსეთის სახელმწიფოს მიერ გაწეული კოორდინირებული ძალისხმევის შედეგია.

ამასთან, კრემლის საინფორმაციო ოპერაციები არ შემოიფარგლება მხოლოდ გეოპოლიტიკით. მსგავსი მონათხრობების დიდი ნაწილი, ეკონომიკურ საკითხებსაც ეხება, როგორებიცაა ენერგო მატარებლები, ეკოლოგია, ინვესტიციები, ა.შ. - ერთი სიტყვით, ის მთავარი თემები, რაც გავლენას ახდენს რუსული სახელმწიფოს ფუნქციონირებასა და მისი უსაფრთხოების აპარატზე. მეორეს მხრივ, რუსეთის ნარატივი უკავშირდება ღირებულებებს და მორალურ წუხილებს. ამ მესიჯების დიდი ნაწილი ატარებს სექსუალურ ხასიათს და მიზანში იღებს მაგ. ქალებს ან/და ჰომოსექსუალებს, რომელთაც წარმოაჩენს როგორც სატანის ფანატიკოსებს. ჯამში, კრემლის თვალსაწიერში დასავლეთი დახატულია, როგორც დეგენერირებული, ეშმაკისეული ძალა, სადაც დასავლური დემოკრატია მითად არის შერაცხული; ამ ყველაფერში კი, მოსკოვი წარმოჩენილია, როგორც მორალურად სუფთა ძალა.<sup>17</sup> დანარჩენი მესიჯები შექმნილია კონკრეტული ქვეყნებისთვის. მაგალითად, პრო-კრემლისტური მესიჯები პოლონეთში შეიძლება ვიპოვოთ სლავოფილების, თანამედროვე კერპთაყვანისმცემლების, ან ალტერნატიული სტილის ვებგვერდებზე.<sup>18</sup> რუსეთის მიერ კონტენტის და გარემოებების მსგავსი სახით შექმნას და ადაპტაციას შეიძლება ვუწოდოთ შეკერილი პროპაგანდა.

<sup>17</sup> Alexander Rondeli, "Moscow's Information Campaign and Georgia" (Tbilisi, 2014).

<sup>18</sup> Joanna Kwiecień, "Poland through Eurasian Eyes: Russian Propaganda Messages in the Media," The Warsaw Institute Review, no. 3 (July 18, 2017), <https://warsawinstitute.org/poland-eurasian-eyes-russian-propaganda-messages-media/>.

# კრემლის მონათხრობები საქართველოში

ალექსანდრე რონდელი, რონდელის ფონდის აწ-განსვენებული პრეზიდენტი და დამფუძნებელი, ხაზს უსვამდა რამდენიმე ტრენდს, საქართველოსადმი რუსეთის მონათხრობზე:<sup>19</sup>

- საქართველო უნდა დარჩეს რუსეთთან, გამომდინარე მისი გეოგრაფიიდან, საერთო 200 წლიანი ისტორიიდან და მართლმადიდებლური ისტორიიდან;
- ქართველი და რუსი ხალხი ერთმანეთის მიმართ მეგობრულად არიან განწყობილი, რომ არა საქართველოს მთავრობების ღალატი ამ მეგობრობისადმი. ეს ეწინააღმდეგება ისტორიულ ლოგიკას და ცდილობს საქართველო მოაშოროს რუსეთის გავლენის სფეროდან;
- რუსეთი საქართველოს არასდროს მისცემს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების უფლებას და დაანგრევს საქართველოს, თუ ის მოსკოვის სურვილებს არ დაემორჩილება;
- დასავლეთი არ არის სანდო პარტნიორი და საქართველო თავის დასავლურ პერსპექტივასთან მიმართებაში, ილუზიაში იმყოფება.

ამას დამატებული, რუსეთის პროპაგანდა ლიდერობდა საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებაში, რომ თითქოს სააკაშვილმა (საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი) დაიწყო 2008 წლის ომი და რუსეთი უნდა

19 Alexander Rondeli, “Moscow’s Information Campaign and Georgia.”

ჩარეულიყო, სამხრეთ ოსეთის (ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის) დასაცავად, სავარაუდო ეთნიკური წმენდის გამო. ამასთან, კრემლის სატელიტები ასევე ირწმუნებიან, რომ ომის განმავლობაში საქართველოს დასავლეთისგან რამე სახის მხარდაჭერა არ მიუღია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.<sup>20</sup>

პროპაგანდისტული გზების გამოყენების მორიგი გზა არის საქართველოში ლგბტ საკითხებზე ფოკუსირება. მსგავსი მეთოდი წარმოაჩენს ლგბტ სტატუსის მქონე ადამიანებს, როგორც სექსუალური გადახრის მქონეებს, ან ინცესტით თუ ნეკროფილიით შეპყრობილებს, კონსერვატიულად განწყობილ მოქალაქეებში შიშის და ზიზლის აღსაძრავად. ფართო კონტექსტში, პროპაგანდისტული და ნაციონალისტური ძალები მიაწერენ ლგბტ საკითხებს დასავლეთის მხრიდან ჰომოსექსუალიზმის ე.წ. „აგრესიულ ექსპორტს“ კავკასიაში. შესაბამისად, კონცეფცია „სხვა“ წარმატებულად გამოიყენება ქსენოფობიურ (ძირითადად მეზობელი სახელმწიფოებიდან მუსულმანების წინააღმდეგ), ანტი-მიგრანტულ და ნაციონალისტურ წრეებში.

უფრო მეტიც, პროპაგანდისტული ძალები ცდილობენ დაარწმუნონ ფართო საზოგადოება, რომ საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტები შეუძლებელს ხდის ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას, და ალიანსში შესვლა ნატო-რუსეთის ომის ტოლფასი იქნება. რელურად კი, მსგავსი განხილვები მხოლოდ თეორიულია, ყოველგვარ ფაქტებს მოკლებული. ნაცვლად ამისა, ეს რიტორიკა მხოლოდ შეიძლება მიმართული იყოს საქართველოს მოქალაქეებს შორის ნიჰილისტური განწყობების გასაძლიერებლად, დემოკრატიული განვითარებისა და დასავლურ ინსტიტუტებში გაწევრიანების თვალსაზრისით.<sup>21</sup>

<sup>20</sup> “Opinion | Russia Invaded Georgia 10 Years Ago. Don’t Say America Didn’t Respond,” Washington Post, accessed August 16, 2018, [https://www.washingtonpost.com/opinions/russia-invaded-georgia-10-years-ago-dont-say-america-didnt-respond/2018/08/08/ba4279d4-9b3e-11e8-8d5e-c6c594024954\\_story.html](https://www.washingtonpost.com/opinions/russia-invaded-georgia-10-years-ago-dont-say-america-didnt-respond/2018/08/08/ba4279d4-9b3e-11e8-8d5e-c6c594024954_story.html).

<sup>21</sup> Małgorzata Krakowska, “Georgia is not only a consumer of global security,” *New Eastern Europe*, June 13, 2017, [http://neweasterneurope.eu/old\\_site/interviews/2382-georgia-is-not-only-a-consumer-of-global-security](http://neweasterneurope.eu/old_site/interviews/2382-georgia-is-not-only-a-consumer-of-global-security).


### ცხრილი 1: რუსული მითები საქართველოში

| ღირებულებები                                                                         | პოლიტიკა                                                                         | ეკონომიკა                                                                    |
|--------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------|
| ევროპა/აშშ/დასავლეთი საფრთხეს უქმნიან საქართველოს ეროვნულ ღირებულებებს და ტრადიციებს | ნატოში საქართველოს ინტეგრაცია აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაკარგვის ტოლფასია | საქართველოსთვის მხოლოდ რუსული ბაზარია მომგებიანი                             |
| დასავლური ღირებულებები ქართულთან შეუთავსებელია                                       | 2008 წლის ომი ექსკლუზიურად სააკაშვილის ბრალი იყო                                 | საქართველო ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებით იხეირებდა              |
| დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლურ ღირებულებებს, როცა რუსეთი იცავს მათ                | საქართველო ამერიკის თოჯინაა                                                      | ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება დაანგრევს საქართველოს ეკონომიკას       |
| დასავლეთი საქართველოს თავს მოახვევს ჰომოსექსუალობას და გეი ქორწინებას                | საქართველო ნეიტრალური ქვეყანა უნდა იყოს                                          | საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანა უნდა იყოს, როგორც საბჭოთა კავშირის დროს |

საქართველოს ასევე აქვს საკუთარი „ლიზას ისტორია“ - ყალბი ახალი ამბავი გაუპატიურების შესახებ, რომელიც არ მომხდარა. ლიზა იყო რუსი-გერმანელი გოგონა, რომელიც სავარაუდოდ, გააუპატიურა გერმანიაში მყოფმა იმიგრანტმა. მანამ, სანამ ამ ისტორიის არასინამდვილე დადასტურდებოდა, საპროტესტო გამოსვლები დაიგეგმა გერმანიაში, ეს ამბავი კი ფართოდ გაშუქდა რუსულ ადგილობრივ და საერთაშორისო მედიაში, იმ დონემდე, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა, გააკეთა ორი საჯარო განცხადება, რომ გერმანიის პოლიცია ამ საქმეს სათანადოდ პოლიტკორექტულობის გამო არ უდგებოდა.<sup>22</sup> 2018 წლის 4 ივლისს კი, მსგავსი ამბავი გამოჩნდა საქართველოში:<sup>23</sup>

<sup>22</sup> Stefan Meister, “The „Lisa case”: Germany as a target of Russian disinformation,” NATO Review, July 25, 2016, <https://www.nato.int/docu/review/2016/also-in-2016/lisa-case-germany-target-russian-disinformation/EN/index.htm>.

<sup>23</sup> See also: ნიკა გურიანი, როგორ გავრცელდა ყალბი ამბავი 3 არაბის მიერ ქართველი გოგონას გაუპატიურების შესახებ, Mythdetector, July 9, 2018, <http://www.mythdetector.ge/ka/myth/rogor-gavrtselda-qalbi-ambavi-3-arabis-mier-kartveli-gogonas-gaupatiurebis-shesakheb>.





## ისტორიის გაყალბება

თავის 2018 წლის ანგარიშში, „საქართველოს მედიის განვითარების ფონდმა“ (MDF) დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოში რუსული და პრო-რუსული მედია ორგანიზაციების მხრიდან ისტორიის გაყალბებას. ერთ-ერთი შესამჩნევი ხაზი, რომელიც ანგარიშმა შენიშნა, აჩვენებს საბჭოთა წარსულის პოზიტიურ კონტექსტში წარმოჩენის მცდელობებს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობები - კატინის ტყის ტრაგედია, ჰოლოკოსტი და ჰოლოდომორი უკრაინაში - გამართლებული იყო, ისტორიული ფაქტების დამახინჯებით.<sup>24</sup>

ყურადსაღებია, რომ კრემლიდან წამოსული ისტორიის ფალსიფიკაციის ბევრი ფაქტი არ შეინიშნება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი ან დიდი ბრიტანეთი; თუმცა, ისინი უხვად მოიძებნება რუსეთის მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოსა და პოლონეთში. ამ სივრცეებში, მოსკოვის ამოცანას საბჭოთა ნოსტალგიის აღძვრა წარმოადგენს.<sup>25</sup> ეს ძალისხმევა ემსახურება არამხოლოდ რუსეთის, არამედ საბჭოთა კავშირზე „კარგი ძველი დროის“ შესახებ იდეის პრომოციას, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.<sup>26</sup>

---

<sup>24</sup> Ibid.

<sup>25</sup> Ibid.

<sup>26</sup> Media Development Foundation, “Anti-Western Propaganda,” 2018, [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/89/file/eng/AntiWest-2017-ENG.pdf?utm\\_source=newsletter&utm\\_medium=email&utm\\_campaign=kremlin\\_watch\\_briefing\\_british\\_intelligence\\_chief\\_names\\_and\\_shames\\_the\\_kremlin\\_for\\_its\\_hostile\\_activities&utm\\_term=2018-05-15](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/89/file/eng/AntiWest-2017-ENG.pdf?utm_source=newsletter&utm_medium=email&utm_campaign=kremlin_watch_briefing_british_intelligence_chief_names_and_shames_the_kremlin_for_its_hostile_activities&utm_term=2018-05-15).





მსგავს აზრებს და მითებს დასაბამი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აქვთ, როცა საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა მისი ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოგებას მასიური „ტვინის გამორეცხვის“ ტექნიკებით და მონოპოლიზებული მედიით, როცა დასავლეთთან საერთაშორისო კონკურენციის გაწევას ლამობდა მისი დისკრედიტაციის გზით.<sup>27</sup> შესამშნევია, რომ მიუხედავად უკვე დიდი ხნის წინ დანგრეული საბჭოთა სისტემისა, მსგავსი მითები ჯერ კიდევ არსებობს საქართველოს, განსაკუთრებით ასაკოვან, მოქალაქეებში, ვინც რუსეთის ჰიბრიდული ომის მიმართ ძლიერ მოწყვლადი არიან. თავის მხრივ კი, მოსკოვი, რომელიც ძალას არ იშურებს საბჭოთა მემკვიდრეობის გასაგრძელებლად, ბოროტად იყენებს ყველა საბჭოთა ნარატივს საქართველოს დასავლური კურსის და დასავლური დემოკრატიების ძირის გამოთხრის მიზნით.

---

<sup>27</sup> Richard H. Shultz, Roy Godson, Anatoliy Golitsyn, “Dezinformatsia: Active Measures in Soviet Strategy; New Lies For Old: The Communist Strategy of Deception and Disinformation,” 1984, <https://www.foreignaffairs.com/reviews/capsule-review/1984-09-01/dezinformatsia-active-measures-soviet-strategy-new-lies-old>.








# სასწავლო ქეისი 1: ლუგარის ლაბორატორია თბილისში და რუსეთის დეზინფორმაცია


## CASE STUDY: KREMLIN'S DISINFORMATION AND TOXIC NARRATIVES ON LUGAR LAB IN TBILISI

### „LUGAR LABORATORY” USAGE IN VARIOUS DISINFORMATION CAMPAIGNS



### **"Biofear" as active measures:**

The Soviet Union also employed coordinated disinformation, for instance, accusing the US of engineering AIDS (operation Infektion).



### **GOALS:**

- Promote anti-American narratives internationally
- Damaging Georgia's regional and international reputatio
- Sowing distrust toward the West

## CASE STUDY: KILLING BEFORE LUNCH

Source: Polish tabloid,  
Super Express (Feb 21, 2018)  
with misleading title

On February 27, 2018, *Niezależny Dziennik Polityczny* (Independent Political Journal, NDP), published an article „The Gendarmerie confirms: Americans killed few Poles while hurrying for lunch.”



KEY:  
DRAWSKO POMORSKIE – MILITARY TRAINING GROUND  
ZAKRZEWO – ACCIDENT  
ALEKSANDRÓW KUJAWSKI – REHABILITATION CENTER

The publication claimed that an American military vehicle smashed a van with disabled people, leaving several Polish victims dead. It also used an alleged statement from the spokesperson of Polish Military Gendarmerie.

### Frankenstein article

Article was in fact a mix of paragraphs from five different articles: three about actual traffic accidents, albeit neither involving military vehicle nor soldiers; one guide on getting insurance after hit-and-run and one about training about Polish traffic law for American troops.

### Smearing efforts against NATO troops

Pro-Kremlin media outlets in Poland have a long tradition of smearing efforts and spreading disinformation against NATO, the Polish army and American troops in Poland.

### Basic Conspiracy and Fake Narrative


- American soldiers are homosexual/transgender
- Foreigners are disrespectful toward Poles and Polish army
- NATO is an occupant. People are dying in traffic accident because of NATO

### Potential

- Negatively impact domestic politics in Poland and weaken NATO's Enhanced Forward Presence in the country
- Undermine popular support to military alliances, bases, or exercises, by evoking hostility and discontent



## სასწავლო ქეისი 2: მკვლევარობა ლანჩამდე - დეზინფორმაცია პოლონეთში ამერიკელი სამხედროების წინააღმდეგ



# რუსული პროპაგანდის მთავარი წყაროები საქართველოში

მოსკოვის კოორდინირებული მონათხრობი მნიშვნელოვანწილად სცდება ციფრულ და მედია გამოცემებს, სოციალურ მედიასა და ტროლებს; ის მყარდება და მრავლდება ე.წ. სამოქალაქო ორგანიზაციების, სამთავრობო NGO-ების (GONGO), პოლიტიკური პარტიების, ევრაზიონისტი ჯგუფების და სხვა აქტორების მიერ.

რიგირუსული სამოქალაქო ორგანიზაციებისა, როგორებიცაა ფედერალური სააგენტო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საკითხებში, საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობა და საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები ყოველწლიურად ღებულობენ 100 მლნ. აშშ დოლარის მხარდაჭერას, სამთავრობო NGO-ებთან ერთად; 150 მათგანი კი ფინანსდება რუსეთის პრეზიდენტის გრანტებით, რომელიც წელიწადში 70 მილიონ დოლარს უდრის.<sup>28</sup> ისინი ასრულებენ რუსეთის სახელმწიფოს ხმის გამაძლიერებლის როლს, როცა და სადაც საჭიროა, მათ შორის მოსკოვის 4D პროპაგანდის სცენარებში.

როგორც სხვა დასავლურ შემთხვევებში, კრემლი საქართველოში მართავს აშკარა, დაფარულ და აფილირებულ ელემენტებს და ბოროტად იყენებს სოციალურ მედიას თავისი საინფორმაციო ომის მიზნების მისაღწევად.<sup>29</sup> ასეთი ქცევით, მოსკოვი დიდწილად ეყრდნობა მის ადგილობრივ და რბილი ძალის ორგანიზაციებს, ვინც გადამეტებით ფინანსდებიან და იღებენ პოლიტიკურ მხარდაჭერას საქართველოში.

---

<sup>28</sup> RAND, "Russian Social Media Influence: Understanding Russian Propaganda in Eastern Europe," 2018, [https://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR2237.html](https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2237.html).

<sup>29</sup> RAND.

## სამიზნე აუდიტორია

მარტივი პასუხი იმაზე, თუ ვინ წარმოადგენს კრემლის ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ომის სამიზნეს საქართველოში, არის ყველა, ვინც მეტ-ნაკლებად მოწყვლადია პრო-რუსული და რუსული სენტიმენტების მიმართ. ეს სია შეიძლება გაიზარდოს რუსეთში მცხოვრები ქართული დიასპორის ნაწილით, რომელიც დიდწილად რუსულ მედიაზე არის დაყრდნობილი; ასევე, მართლმადიდებლური საზოგადოებები, ფერმერები, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს რუსეთთან ვაჭრობა წარმოადგენს. ბოლოს კი, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები.

როგორც ამას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხშირად აღნიშნავენ, ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ არეალებში ცხოვრობენ (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი) არიან ყველაზე უფრო მოწყვლადი კრემლის დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ. აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი ცხადი მიზეზი კავშირშია ქართულ მედიასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის არსებული კავშირის სისუსტესთან, რასაც თან ერთვის ენობრივი ბარიერის არსებობა (ძირითადად რუსული ენა არის კომუნიკაციის მთავარი საშუალება ეთნიკურ უმცირესობებში, როცა საინფორმაციო სიახლეების უმეტესობა ქართულად გადაიცემა). ასევე, ჩანს, რომ ქართული მაუწყებლების მოტივაცია შექმნან სპეციალური პროგრამები ეთნიკური უმცირესობებისთვის, ეკონომიკური გაგებით, დაბალია. ამ პირობებში, რუსული ტელეარხები უფრო მიმზიდველად გამოიყურება საქართველოში არსებული ეთნიკური უმცირესობებისთვის.<sup>30</sup>

<sup>30</sup> IDFI Georgia, “Kremlin’s Information War: Why Georgia Should Develop State Policy on Counter-ing Propaganda,” August 22, 2016, <https://idfi.ge/public/upload/Meri/Giorgi%20Lomtadze/Policy%20Paper.PDF>.

# ზოგადი მიდგომები დეზინფორმაციასთან გასამკლავებლად

გთავაზობთ რამდენიმე ზოგად და კონკრეტულ მეთოდს დეზინფორმაციასთან და ყალბ ახალ ამბებთან გასამკლავებლად, ინდივიდუალურ და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე.

**კომუნიკაცია:** თუ თქვენი ინსტიტუტი ან ორგანიზაცია გახდება დეზინფორმაციის სამიზნე და თვითონ არ შეუძლია მასთან გამკლავება, თქვენს ხელთ არის რიგი ინდივიდუალური რესურსებისა, მათ შორის ფიზიკური და ვირტუალური, რომ თვითონ შეძლოთ მოქმედება. სმარტფონის ერაში, ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა და წვდომა ინფორმაციასთან, რაც მას აძლევს საშუალებას თავადვე მიაწოდოს ფართო საზოგადოებას სანდო და სწორი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს არ გააჩნია ამა თუ იმ საკითხის სიღრმისეული ცოდნა, ყოველთვის რეკომენდირებულია სპეციალისტთან კონსულტაციის გავლა ინფორმაციის საჯაროდ გამოტანამდე.

**ფაქტების შემოწმება (Fact-check):** თუ ახალი ამბავი ატარებს სენსიტიურ ხასიათს ინდივიდუალურ, სოციალურ ან პოლიტიკურ დონეზე, ერთ-ერთი გზა, სანამ ამ ინფორმაციას ვირწმუნებთ, არის მისი ოფიციალური წყაროებიდან გადამოწმება, მათ შორის ფაქტების შემოწმების გზით. მაგალითად, EU vs Disinfo (ფართო ევროპულ დონეზე), ან Factcheck.ge და მითების დეტექტორი (Mythdetector.ge, ადგილობრივი, ქართული) არიან სანდო წყაროები ფაქტების შემოწმებისთვის. ამას დამატებული, ინდივიდუალური მოქმედების ერთ-ერთი მორიგი გზა არის ახალი ამბის ავტორის გადამოწმება, მათ შორის მისი ტიტულის და ორგანიზაციული თუ პოლიტიკური მიკუთვნებულობის შესწავლა. ამ გზით, შეგვიძლია შევიტყოთ ავტორის რეალურ განზრახვა და მიზანი გამოაქვეყნოს კონკრეტული ახალი ამბავი ან საკუთარი მოსაზრება.

**გამოაშკარავება:** ამ მეთოდს შეუძლია დაგვეხმაროს დეზინფორმაციასთან ბრძოლაში, გრძელვადიანად. ყალბი ახალი ამბები, როგორც წესი, დროდადრო აღმოცენდებიან; ამიტომ, ეფექტიანი და მდგრადი გზა მათთან დასაპირისპირებლად არის მათი ამოცნობა (იდენტიფიცირება), გამოაშკარავება და ახსნა კრიტიკულად, საწყისი ეტაპიდანვე. მსგავსი ქცევით, ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ მტრულად განწყობილი ძალების წარმატება განგრძობითად გამოიყენონ კონსპირაციის თეორიები ან ყალბი ახალი ამბები ჩვენივე წინააღმდეგ.

**განათლება:** ხარისხიანი ზოგადი განათლება (ისტორიაში, ქიმიაში, ფიზიკაში, ა.შ.), ასევე ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების სასურველი დონე საზოგადოებაში შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პრევენციული ზომა პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მიმართ. იმავდროულად, მედია წიგნიერება, გამყარებული მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების თანმიმდევრული ძალისხმევით, ადაპტირდნენ სწრაფად ცვალებად მსოფლიოსთან, შესაძლოა იყოს ერთ-ერთი მორიგი სტრატეგიული და სანდო გზა მომავლისკენ ორიენტირებული და მედეგი საზოგადოების მშენებლობისთვის.

**გამოკვლევა:** რაც მეტი ვიცით დეზინფორმაციის წყაროებსა და მეთოდებზე, მით უფრო შეგვეძლება მათი დამარცხება. ციფრულ ხანაში, მეცნიერება და ფაქტებზე დაფუძნებული ანალიტიკური კვლევები ინსტუმენტალურ როლს ასრულებენ ჩვენ მიერ რაციონალური არჩევანის და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

**დაცინვა:** კონსპირაციის თეორიებთან და დეზინფორმაციასთან გამკლავებისთვის, იუმორის გამოყენება შესაძლოა ერთ-ერთი კარგი მეთოდი იყოს.<sup>31</sup> დოქტორი მარჩინ ნაპიორკოვსკი გვიჩვენებს, რომ კონსპირაციის თეორიების მასხრად აგდება მიმართული უნდა იყოს თვითონ თეორიის და არა მათი გამხმევანებელი პირების მიმართ.<sup>32</sup> მაგალითისთვის, თუ რომელიმე წყარო ან ადამიანთა ჯგუფი ამტკიცებს, რომ პოლონეთი იყო უძველესი იმპერია, მსგავსი ფსევდო-მეცნიერული აზრის გამასხარავება უფრო ეფექტიანი ჩანს, ვიდრე მისი სერიოზული დებატებით დამარცხების მცდელობა.

<sup>31</sup> Gábor Orosz et al., “Changing Conspiracy Beliefs through Rationality and Ridiculing,” *Frontiers in Psychology* 7 (October 13, 2016), <https://doi.org/10.3389/fpsyg.2016.01525>.

<sup>32</sup> Marcin Napiórkowski, “Jak rozmawiać z ludźmi, którzy wierzą w teorie spiskowe, czyli śmieszkiowanie strategiczne,” *Mitologia Współczesna* (blog), March 4, 2017, <http://mitologiawspolczesna.pl/smieszkiowanie-strategiczne-czyli-rozmawiac-ludźmi-ktorzy-wierza-w-teorie-spiskowe/#sdfootnote2anc>.



## რეკომენდაციები

ინფორმაციის მიმღებებისთვის:

- განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ აქტივობებს ან მასალას, რომელიც მოწოდებულია რუსული ან პრო-რუსული მედია ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მათ, როგორც წესი, გააჩნიათ საკუთარი დღის წესრიგი, რომლის სამიზნეც შესაძლოა იყოს თქვენ. თუ ისეთ მესიჯებს წააწყდებით, რომლებიც ატარებენ ძლიერ ემოციურ ხასიათს, მათ გააზიარებამდე ან კომენტარის გაკეთებამდე, ჰკითხეთ საკუთარ თავს: წარმოადგენს ეს მასალა ფაქტებს, თუ მხოლოდ ინტერპრეტაციებს? არის ის სარწმუნო და ადეკვატურ ენაზე გადმოცემული? შექმნილია ის ჩვენთვის რეკლამის ან სხვა მიზნობრივი ინფორმაციის მოსაწოდებლად? რა მიზანი შეიძლება იმალებოდეს ამ კონკრეტული მონათხრობის უკან?
- განეწყვეთ სკეპტიკურად საექვო ხასიათის ზოგადი ისტორიების, მედიის ან სოციალური მედიის პოსტების გაზიარებისადმი. მანამდე კი, დარწმუნებით ინფორმაციის სისწორესა და წყაროს სანდოობაში, ასევე ავტორის ავთენტურობაში (სინამდვილეში).

- როდესაც წააწყდებით სავარაუდო ტროლს სოციალურ ქსელებში ან პლატფორმებზე, იმოქმედეთ სატირით და იუმორით; ტროლების ინტერესებშია თქვენი ამა თუ იმ გზით ჩათრევა, იმედგაცრუება და ზემოქმედება. არ დაეხმაროთ მათ ამაში.
- სიტყვის თავისუფლება დემოკრატიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი; თუმცა, ის ხელს არ უნდა უწყობდეს ან რამენაირად ამართლებდეს სიცრუის გავრცელებას, ვინმეს დისკრედიტაციას ან ზოგადად, ყალბი ახალი ამბების გავრცელებას. იხელმძღვანელეთ ამ მიდგომით, როგორც პასუხისმგებლიანმა და აქტიურმა მოქალაქემ.
- მოერიდეთ წყაროებს, რომლებიც ცნობილი არიან პროპაგანდის და დეზინფორმაციის გავრცელებაში. კვლევები აჩვენებს, რომ რაც დრო გადის, ადამიანებს ამახსოვრდებათ ესა თუ ის ახალი ამბავი, თუმცა არა მისი ზუსტი წყარო. ეს ასევე მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაშიც, თუ წყაროს სიყალბის შესახებ ჩვენთვის ცნობილია.
- გახსოვდეთ უკვე თქვენს ხელთ არსებულ ინსტრუმენტებზე, როგორებიცაა ფაქტების შესამოწმებელი ვებ გვერდები, ან სოციალურ მედიაში ე.წ. შეტყობინების ან „დარეპორტების“ (report) ღილაკი. რადგანაც ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის ინტერნეტ მომხმარებლების დაბლოკვა ჯერ-ჯერობით რთულია, ჩვეულებრივი და ჰიბრიდული ტროლები ხშირად მიმართავენ სიძულვილის ენას და სხვა არალეგალურ ქცევას. ამ შემთხვევაში, ნუ იყოყმანებთ მათ „დარეპორტებაში“.
- სანამ ენდობით, შეუერთდებით ან/და დაესწრებით რუსეთთან აფილირებული ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებს, იკითხეთ მათ ფინანსურ წყაროებზე, კავშირებსა და მიზნებზე, რომ შეძლოთ ინფორმირებული



გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი  
ღირებულებების შესაბამისად.

- თქვენ შეგიძლიათ შედეგს მიაღწიოთ, საკუთარი, დეცენტრალიზებული ჯგუფის შექმნით, რომელიც, როგორც ლიეტუველი ელფები, მოხალისეობრივად დაკავდებიან ტროლების და მათი კომენტარების „დარეპორტებით“, ან ილობირებენ მასობრივი ეფექტით, რომ ინტერნეტ რეალიზატორებმა არ გაყიდონ საბჭოთა სიმბოლოებიანი ტანსაცმელი.<sup>33</sup> ცნობისთვის, ელფები არასოდეს გთხოვთ ავნოთ ან დევნა დაიწყოთ ვინმეს წინააღმდეგ.

კომუნიკატორებისთვის (ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, ადგილობრივი ლიდერებისთვის, ჟურნალისტებისა და რელიგიური პირებისთვის):

- დეზინფორმაციის ან საეჭვო ინფორმაციის აღმოჩენისას, იმოქმედეთ მყისიერად, შესაბამისი ინტერნეტ და სხვა არხებით. აქტიურად მიმართეთ ტექნოლოგიებს, რომ დაუკავშირდეთ ფართო საზოგადოებას, დაიცვათ თქვენი თავი და სხვები.
- მნიშვნელოვანია თქვენს კორპორატიულ გარემოში გქონდეთ კომუნიკაციის მჭიდრო კოორდინაცია, მათ შორის რეპორტირების მექანიზმები, რომ არ გახდეთ დეზინფორმაციის სამიზნეები და დაიცვათ თქვენი ორგანიზაცია მსგავსი ინციდენტებისგან.
- კარგად დაგეგმეთ კომუნიკაცია. გამოიყენეთ გამოსახულებები, ასევე, იცნობდეთ თქვენს სუსტ მხარეებს და გაიარეთ კონსულტაცია, თუ საჭიროა. მიმართეთ კომუნიკაციის ფართო

---

<sup>33</sup> “The Lithuanian elves movement as a patriotic block chain,” Propastop, October 19, 2018, <https://www.propastop.org/eng/2018/10/19/the-lithuanian-elves-movement-as-a-patriotic-block-chain/>

გზებს, რომ თქვენი სათქმელი მეტ ადამიანთან მივიდეს. რაც მთავარია, გახადეთ ეს პროცესი თქვენთვის გასართობი და საგანმანათლებლო, ერთდროულად.

- საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ექსპერტებს, არასამთავრობო ორგანიზაციების და მთავრობის წარმომადგენლებს რჩევისთვის. უმეტესი მათგანი თქვენ წინაშე ანგარიშვალდებულია.
- ე.წ. შოკისმომგვრელი სიახლეები, როგორც წესი, დაფარულ კომერციულ მიზნებს ატარებს. სანამ მათ გახსნით, ენდობით ან გააზიარებთ, შეამოწმეთ მათი სინამდვილე და დამაჯერებლობა. მოუდექით ამ საკითხს პასუხისმგებლობით და ნუ გახდებით ყალბი მესიჯების გავრცელების წყარო, რომელთა წარმომავლობასა და მიზანში არ ხართ დარწმუნებული.
- როცა წააწყდებით საექვო ფოტოებს ინტერნეტში, ერთ-ერთი გზა მათი სინამდვილის დასადგენად არის ე.წ. რევერსული ძიების გზა (reverse search engine). თუ ესა თუ ის ფოტო გამოსახულება კონტექსტურად განსხვავდება გადმოცემული ტექსტისგან, რეკომენდირებულია გადავამოწმოთ მოცემული ფოტო მართლა ასახავს თუ არა გადმოცემულ შინაარსს. ეს ბმული <https://reverse.photos> ერთ-ერთი გზაა, რომელიც დაგეხმარებათ ამა თუ იმ ფოტოს პირველადი წყაროს მიკვლევასა და სინამდვილის დადგენაში. მონაცემების მოძიებისთვის, ასევე, სასარგებლო წყაროებია: [www.stopfake.org](http://www.stopfake.org); [www.bellingcat.com](http://www.bellingcat.com); [www.gijn.org](http://www.gijn.org); [www.digitalsherlocks.org](http://www.digitalsherlocks.org).
- [www.newsguardtech.com](http://www.newsguardtech.com) გვთავაზობს ბრაუზერის უფასო ფუნქციას, რომელიც დაგეხმარებათ საექვო ონლაინ საინფორმაციო წყაროების უკეთ გარჩევაში. ნუ იცოყმანებთ ამ ფუნქციის გადმოწერაში.



## დასკვნა

მოსკოვი მიმართავს ზომების ფართო სპექტრს საკუთარი პოლიტიკის და სტრატეგიის საერთაშორისო დონეზე გასაძლიერებლად, მათ შორის დამახინჯებული, შეთხზული ან მანიპულირებული ინფორმაციის და ე.წ. ნახევარ-სიმართლის გზით. რუსეთის ძალისხმევა გაავრცელოს დეზინფორმაცია, მათ შორის მეთოდები, მიზნები და აგენტურა საქართველოში, ზოგადად ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, კარგად აღჭურვილია რესურსებით. რადგანაც რუსეთის ინტერესებშია ჩვენი დემოკრატიების, კეთილდღეობის და თავისუფლებისთვის ძირის გამოთხრა, საქართველოს და ფართო დასავლეთის საზოგადოებებს გვჭირდება განვავითაროთ ინდივიდუალური და ერთობლივი მედეგობა ღია და ფაქტებზე დაფუძნებული დისკუსიით, აქტიური სამოქალაქო მონაწილეობით და თანამედროვე ტექნოლოგიების სათანადო გამოყენებით.

ჩვენ ვპირაობთ მთავრობის წარმომადგენლებს, რომ უზრუნველყონ ჩვენივე უსაფრთხოება; თუმცა, ეს ჩვენ ბოლომდე არ გვათავისუფლებს საკუთარი პასუხისმგებლობისა და თავდაცვის თანდაყოლილი უფლებისგან. განყენებულად მოქმედებით, მთავრობები ვერ გაუმკლავდებიან რუსეთის ჰიბრიდულ ომს და დეზინფორმაციას. ამიტომ, ჩვენ უნდა ჩავერთოთ და გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველაზე ძლევამოსილი ბერკეტი - ობიექტური სიმართლე. ამ გზით, ჩვენ შევძლებთ უზრუნველყოთ მეტი უსაფრთხოება და კეთილდღეობა ჩვენივე თავისთვის და მთელი ქვეყნისთვის, თანამშრომლობის, დებატებისა და ინდივიდუალური ლიდერობის მეშვეობით.



## Suggested Literature

### რეკომენდირებული ლიტერატურა

#### Studies and reports on disinformation in Georgia:

კვლევები და ანგარიშები საქართველოში დეზინფორმაციის შესახებ

<http://mdfgeorgia.ge/geo/library/>

<http://www.ei-lat.ge/rusethis-gavlena-saqarthveloze/608-rusethis-khisti-darbili-dzalis-safrthkheebi-saqarthveloshi.html?lang=ka-GE>

<http://olegpanfilov.com/?p=1697>

<https://idfi.ge/ge/category/news/publications>

<https://www.cyberhouse.ge/blog/2017/03/23/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%92/>

<https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/32-expert-opinion-geo.pdf>

<http://regresearch.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93/>

<https://securingdemocracy.gmfus.org/responsible-reporting-in-an-age-of-irresponsible-information/>

<https://idfi.ge/ge/informational-war-of-kremlin-against-georgia-the-necessity-of-having-state-policy-against-propaganda>

[http://silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2018\\_01\\_Nilsson\\_Hybrid.pdf](http://silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2018_01_Nilsson_Hybrid.pdf)



## Fact-checking and debunking stories

სასარგებლო ბმულები ფაქტების შესამოწმებლად

<https://disinfoportal.org>

<https://euvsdisinfo.eu/about/>

<https://medium.com/dfrlab>

<https://disinfoportal.org>

<https://euvsdisinfo.eu/about/>

<http://www.mythdetector.ge/ka/node>

<http://mediameter.ge/ge>

<http://notophobia.ge/geo/home>

<http://factcheck.ge/>

<http://mediameter.ge/ge>

<http://notophobia.ge/ge>

## Bibliography

## ბიბლიოგრაფია

“(5) Биологическое Оружие в Грузии: Американский След - YouTube.” Accessed November 14, 2018. <https://www.youtube.com/watch?v=P4aIpszn4UE>.

Alexander Rondeli. “Moscow’s Information Campaign and Georgia.” Tbilisi, 2014.

“Andrew Wilson: Four Types of Russian Propaganda.” *StopFake.Org* (blog), December 13, 2015. <https://www.stopfake.org/en/andrew-wilson-four-types-of-russian-propaganda/>.

Darczewska, Jolanta, and Piotr Źochowski. *Active Measures. Russia’s Key Export*. Punkt Widzenia, nr 64. Warszawa: Ośrodek Studiów Wschodnich im. Marka Karpia, 2017. [https://www.osw.waw.pl/sites/default/files/pw\\_64\\_ang\\_active-measures\\_net\\_0.pdf](https://www.osw.waw.pl/sites/default/files/pw_64_ang_active-measures_net_0.pdf).

“Definition of BOT,” n.d.

“Definition of DISINFORMATION.” Accessed August 3, 2018. <https://www.merriam-webster.com/dictionary/disinformation>.

“EU Should Keep Its Door Open to New Members,” November 2017, President.pl edition. <http://www.president.pl/en/news/art,606,georgian-president-starts-visit-to-poland.html>.

Fokin, Alexander, and others. “Internet Trolling as a Tool of Hybrid Warfare: The Case of Latvia,” 2016.

IDFI Georgia. “Kremlin’s Information War: Why Georgia Should Develop State Policy on Countering Propaganda,” August 22, 2016. <https://idfi.ge/public/upload/Meri/Giorgi%20Lomtadze/Policy%20Paper.PDF>.

Jr, Joseph S. Nye. "Get Smart." *Foreign Affairs*, July 1, 2009. <https://www.foreignaffairs.com/articles/2009-07-01/get-smart>.

Krakowska, Małgorzata. "Georgia is not only a consumer of global security." *New Eastern Europe*, June 13, 2017. [http://neweasterneurope.eu/old\\_site/interviews/2382-georgia-is-not-only-a-consumer-of-global-security](http://neweasterneurope.eu/old_site/interviews/2382-georgia-is-not-only-a-consumer-of-global-security).

Kwiecień, Joanna. "Poland through Eurasian Eyes: Russian Propaganda Messages in the Media," *The Warsaw Institute Review*, no. 3 (July 18, 2017). <https://warsawinstitute.org/poland-eurasian-eyes-russian-propaganda-messages-media/>.

Media Development Foundation. "Anti-Western Propaganda," 2018. [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/89/file/eng/AntiWest-2017-ENG.pdf?utm\\_source=newsletter&utm\\_medium=email&utm\\_campaign=kremlin\\_watch\\_briefing\\_british\\_intelligence\\_chief\\_names\\_and\\_shames\\_the\\_kremlin\\_for\\_its\\_hostile\\_activities&utm\\_term=2018-05-15](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/89/file/eng/AntiWest-2017-ENG.pdf?utm_source=newsletter&utm_medium=email&utm_campaign=kremlin_watch_briefing_british_intelligence_chief_names_and_shames_the_kremlin_for_its_hostile_activities&utm_term=2018-05-15).

Napiórkowski, Marcin. "Jak rozmawiać z ludźmi, którzy wierzą w teorie spiskowe, czyli śmieszkowanie strategiczne." *Mitologia Współczesna* (blog), March 4, 2017. <http://mitologiawspolczesna.pl/smieszkowanie-strategiczne-czyli-rozmawiac-ludzmi-ktorzy-wierza-w-teorie-spiskowe/#sdfootnote2anc>.

NATO. "Secretary General: NATO Is United in Support for Georgia's Security." NATO. Accessed August 14, 2018. [http://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_157482.htm](http://www.nato.int/cps/en/natohq/news_157482.htm).

"Opinion | Russia Invaded Georgia 10 Years Ago. Don't Say America Didn't Respond." *Washington Post*. Accessed August 16, 2018. [https://www.washingtonpost.com/opinions/russia-invaded-georgia-10-years-ago-dont-say-america-didnt-respond/2018/08/08/ba4279d4-9b3e-11e8-8d5e-c6c594024954\\_story.html](https://www.washingtonpost.com/opinions/russia-invaded-georgia-10-years-ago-dont-say-america-didnt-respond/2018/08/08/ba4279d4-9b3e-11e8-8d5e-c6c594024954_story.html).

Orosz, Gábor, Péter Krekó, Benedek Paskuj, István Tóth-Király, Beáta Bőthe, and Christine Roland-Lévy. "Changing Conspiracy Beliefs through Rationality and Ridiculing." *Frontiers in Psychology* 7 (October 13, 2016). <https://doi.org/10.3389/fpsyg.2016.01525>.

Peter Pomerantsev and Michael Weiss. “The Menace of Unreality: How the Kremlin Weaponizes Information, Culture and Money,” 2014.

“PROPAGANDA | Meaning in the Cambridge English Dictionary.” Accessed December 2, 2018. <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/propaganda>.

RAND. “Russian Social Media Influence: Understanding Russian Propaganda in Eastern Europe,” 2018. [https://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR2237.html](https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2237.html).

Richard H. Shultz and Roy Godson, Anatoliy Golitsyn. “Dezinformatsia: Active Measures in Soviet Strategy; New Lies For Old: The Communist Strategy of Deception and Disinformation,” 1984. <https://www.foreignaffairs.com/reviews/capsule-review/1984-09-01/dezinformatsia-active-measures-soviet-strategy-new-lies-old>.

“Russia Accused of Cyber-Attack on Chemical Weapons Watchdog | World News | The Guardian.” Accessed November 14, 2018. <https://www.theguardian.com/world/2018/oct/04/netherlands-halted-russian-cyber-attack-on-chemical-weapons-body>.

“Russia Does Not Rule out ‘military Measures’ against Georgia in New Threats over Tbilisi Biolab - Democracy & Freedom Watch.” Accessed November 13, 2018. <https://dfwatch.net/russia-does-not-rule-out-military-measures-against-georgia-in-new-threats-over-tbilisi-biolab-52348>.

“Russian Disinformation and the ‘Lab of Death.’” BBC News. Accessed November 14, 2018. <https://www.bbc.com/news/av/world-46157507/russian-disinformation-and-the-georgian-lab-of-death>.

“Soft Power: The Means to Success in World Politics.” *Foreign Affairs*, January 28, 2009. <https://www.foreignaffairs.com/reviews/capsule-review/2004-05-01/soft-power-means-success-world-politics>.

“Strategic Defence Review 2017-2020.” Ministry of Defence, 2017. <https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/SDR-ENG.pdf>.

“The Edward R. Murrow Center of Public Diplomacy.” Public Diplomacy. Accessed August 14, 2018. [http://publicdiplomacy.wikia.com/wiki/The\\_Edward\\_R.\\_Murrow\\_Center\\_of\\_Public\\_Diplomacy](http://publicdiplomacy.wikia.com/wiki/The_Edward_R._Murrow_Center_of_Public_Diplomacy).

“US8967029B1 - Toxic Mosquito Aerial Release System - Google Patents.” Accessed November 14, 2018. <https://patents.google.com/patent/US8967029B1/en>.

Минобороны России. *Брифинг Начальника Войск РХБ Защиты ВС РФ о Военно-Биологической Деятельности США в Грузии*. Accessed November 13, 2018. [https://www.youtube.com/watch?time\\_continue=961&v=V20DOYq7VjM](https://www.youtube.com/watch?time_continue=961&v=V20DOYq7VjM).

*Брифинг Начальника Войск РХБ Защиты ВС РФ о Военно-Биологической Деятельности США в Грузии*. Accessed November 13, 2018. [https://www.youtube.com/watch?time\\_continue=961&v=V20DOYq7VjM](https://www.youtube.com/watch?time_continue=961&v=V20DOYq7VjM).

“Эксперименты На Людях — Грузия: Вчера, Сегодня, Завтра.” Accessed November 14, 2018. <https://samartali.net/2018/09/12/%D1%8D%D0%BA%D1%81%D0%BF%D0%B5%D1%80%D0%B8%D0%BC%D0%B5%D0%BD%D1%82%D1%8B-%D0%BD%D0%B0-%D0%BB%D1%8E%D0%B4%D1%8F%D1%85/>.





## Authors

**Małgorzata Zawadzka** is a Disinformation Program Expert at Warsaw Institute. She specializes in propaganda research and disinformation. Currently, she is researching techniques for the production and introduction of harmful news and narration to the Polish media environment. Małgorzata has recently authored a scholarly article: “Kremlin Propaganda and Disinformation in Georgia: Tools, Channels, Narratives.”

**Zviad Adzinbaia** is a Nonresident Fellow at the Georgian Institute for Strategic Studies. He is currently exploring opportunities to counter disinformation and promote democracy in Georgia and broader Euro-Atlantic communities through modern technology and public-private partnerships. In 2017, as a Visiting Fellow at the NATO Defense College, Zviad authored a research paper: “NATO in the Black Sea: What to Expect Next?” He holds a Master of Arts in Law and Diplomacy degree from The Fletcher School, Tufts University.

## ავტორები:

**მალგოჟატა ზავაძე** ამჟამად იკავებს ვარშავის ინსტიტუტში პროგრამის ექსპერტი თანამდებობას დეზინფორმაციის მიმართულებით. მალგოჟატას სპეციალიზაცია მოიცავს პროპაგანდის და დეზინფორმაციის თემების კვლევას. ამ ეტაპზე, ის იკვლევს ტექნიკებს, რომლითაც მტრულად განწყობილი ძალები ცდილობენ მავნე ხასიათის ახალი ამბების და მონათხრობების შექმნას და გავრცელებას პოლონურ მედიაში. მისი ბოლოდროინდელი სამეცნიერო სტატიის სათაურია: „კრემლის პროპაგანდა და დეზინფორმაცია საქართველოში: ბერკეტები, არხები და ნარატივები.“

**ზვიად აძინაია** არის არარეზიდენტი მკვლევარი „საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტში.“ ის ამჟამად იკვლევს შესაძლებლობებს, თუ როგორ შეიძლება კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოსა და ფართო ევრო-ატლანტიკურ საზოგადოებაში დეზინფორმაციასთან ბრძოლა და დემოკრატიის გაძლიერება. 2017 წელს, როგორც ნატო-ს თავდაცვის კოლეჯის მკვლევარმა, ზვიადმა, გამოაქვეყნა ნაშრომი: “ნატო შავ ზღვაში: რას ველოდოთ შემდგომ?” ზვიადი ფლობს ტაფტსის ფლეტჩერის სკოლის მაგისტრის ხარისხს, საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალიზაციით.



## Publisher

Warsaw Institute is a geopolitical think tank in Poland. The main areas of its interest are: international relations, energy security, defence, history, culture and any other issues crucial for Poland and East-Central Europe. We are proudly supporting the 3 Seas Initiative and transatlantic relations.

ვარშავის ინსტიტუტი არის პოლონეთში მდებარე გეოპოლიტიკის კვლევითი ორგანიზაცია. მისი ინტერესის ძირითად სფეროებს წარმოადგენს: საერთაშორისო ურთიერთობები, ენერგეტიკული უსაფრთხოება, თავდაცვა, ისტორია, კულტურა და პოლონეთისთვის, ასევე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სხვა სფეროები. ჩვენ დიდი სიამაყით ვუჭერთ მხარს „სამი ზღვის ინიციატივას“ და ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს.



---

GEORGIAN INSTITUTE FOR STRATEGIC STUDIES  
საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი

## Partner

The Georgian Institute for Strategic Studies (GISS) Non-profit, non-partisan think-tank established in November 2012. The GISS's mission is to serve as a resource for interested parties in understanding political, security and foreign policy choices before Georgia and the wider region.


საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (GISS) არის არასამეწარმეო, არაპარტიული კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის ნოემბერში. მისი მისიაა დაინტერესებულ მხარეებს დაეხმაროს პოლიტიკურ, უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის არჩევანის გაგებაში, საქართველოს და ფართო რეგიონის მასშტაბით.



## Thanks



Warsaw Institute would like to express its gratitude towards Solidarity Fund PL for making this project possible



ვარშავის ინსტიტუტი მადლიერებას გამოხატავს პოლონეთის „სოლიდარობის ფონდის“ მიმართ, ამ პროექტის მხარდაჭერისთვის.



This publication serves as a summary and a conclusion of Warsaw Institute's "Disinformation in practice project – identifying, researching and fighting harmful narratives in Georgia." After a half-year close partnership with Georgian Institute for Strategic Studies, we are delighted to present the finale of our joint project. This book is designed to help Georgian NGOs, journalists, local government officials, civil activists and individuals, with practical tools, to identify and combat hostile narratives in the country.

ეს პუბლიკაცია წარმოადგენს ვარშავის ინსტიტუტის პროექტის - „დეზინფორმაცია პრაქტიკაში - საქართველოში მავნე ნარატივის აღმოჩენა, შესწავლა და მასთან გამკლავება“ - ერთგვარ შეჯამებას და დასკვნას. საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრთან ნახევარწლიანი ახლო თანამშრომლობის შემდეგ, მოხარული ვართ წარმოგიდგინოთ ჩვენი ერთობლივი პროექტის საბოლოო ვერსია. ამ ნაშრომის მიზანია პრაქტიკული ინსტრუმენტებით დაეხმაროს არასამთავრობო სექტორს, ჟურნალისტებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, სამოქალაქო აქტივისტებს და კერძო პირებს, საქართველოში მტრული მონათხრობების ამოცნობაში და მათთან გამკლავებაში.

---

PUBLISHER:

**W** WARSAW  
INSTITUTE

MEDIA PATRONAGE:

**THE  
WARSAW  
INSTITUTE  
REVIEW**

